

შპს „სინერჯი კონსტრაქშინ“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს “სინერჯი ქონსტრაქშინ”

ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5
1 ზოგადი ინფორმაცია	5
2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
4 ფული და ფულის ექვივალენტები.....	9
6 საგადასახადო აქტივები.....	10
7 გადახდილი დივიდენდი	10
10 სხვა შემოსავალი.....	11
11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	12
12 არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი).....	12
13 მოგების გადასახადი.....	13
14 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	13
15 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.....	13

შპს "სინერჯი ქონსტრაქშინ"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024**

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	1,693,187	1,725,567
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,693,187	1,725,567
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	388,311	5,976,694
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	28,185	1,158,162
მარაგები			0
საგადასახადო აქტივები	6	41,225	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		457,721	7,134,856
მთლიანი აქტივები		2,150,908	8,860,423
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		55,237	55,237
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,800,700	2,367,296
მთლიანი კაპიტალი		1,855,938	2,422,533
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდი	7		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	294,970	6,437,889
მთლიანი ვალდებულებები		294,970	6,437,889
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,150,908	8,860,423

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს
 ფინანსური დირექტორი მანანა საღარაძე

დირექტორი

ბურაქ გურბუზ

შპს "სინერჯი ქონსტრაქშინ"
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან		22,654,455	5,400,288
სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება	9	(18,030,568)	(4,740,310)
საერთო მოგება / (ზარალი)		4,623,887	659,979
სხვა შემოსავალი	10	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(40,978)	-
არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	12	43,801	23,654
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/ (ზარალი)		(236,427)	99,547
მოგება დაბეგვრამდე		4,390,283	783,179
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(743,532)	-
წმინდა მოგება		3,646,751	783,179
სხვა სრული შემოსავალი/ (ხარჯი)		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,646,751	783,179

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური დირექტორი
 მანანა საღარაძე

დირექტორი

ბურაქ გურბუზ

შპს “სინერჯი ქონსტრაქშინ”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	55,237	1,668,617	1,723,855
წლის მოგება / (ზარალი)		(84,500)	(84,500)
გამოცხადებული დივიდენდი			
სხვა სრული შემოსავალი			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	55,237	1,584,117	1,639,354
წლის მოგება / (ზარალი)		783,179	783,179
გამოცხადებული დივიდენდი			
სხვა სრული შემოსავალი			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	55,237	2,367,296	2,422,533
წლის მოგება / (ზარალი)		3,646,751	3,646,751
გამოცხადებული დივიდენდი		(4,213,347)	
სხვა სრული შემოსავალი			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	55,237	1,800,700	6,069,285

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური დირექტორი
 მანანა საღარაძე

დირექტორი

ბურაქ გურბუზ

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შპს „სინერჯი ქონსტრაქშინ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2011 წლის 14 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზირი, N70, სართული 3, ბინა N7.

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ბურაქ გურბუზ.

2024 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა -8

2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს, ამავე (მე-2) განმარტებით შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება

შპს “სინერჯი ქონსტრაქშინ”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა შემოსულობა/დანაკარგის ნაწილში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	2.8068	2.9306

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა:

	წელი
შენობა-ნაგებობები	33
მანქანა-დანადგარები-სამშენებლო ხარაჩო	4
საოფისე ავეჯი-ინვენტარი	3
მსუბუქი ავტომობილები	5

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება

შპს “სინერჯი ქონსტრაქშინ”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები შედგება რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ექვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების ფასდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება მშენებლობაში გამოსაყენებელ სამშენებლო მასალებისგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდური მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

შპს “სინერჯი ქონსტრაქშინ”

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები/აქტივები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოძინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შპს “სინერჯი ქონსტრაქშინ”
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები- სამშენებლო ხარაჩო	საოფისე ავეჯი- ინვენტარი	მსუბუქი ავტომობილები	სულ
ისტორიული ღირებულება						
2023 წლის 1 იანვარი	1,087,755	610,528	201,023	190,303	30,118	2,119,726
შეძენა		0	27,263	38,310	78,225	143,798
გაყიდვა		0	-80,373	-6,141	0	-86,515
2023 წლის 31 დეკემბერი	1,087,755	610,528	147,912	222,472	108,343	2,177,010
შეძენა		0	17,446	567	26,345	44,358
გაყიდვა		0	-103,871	-4,323	-50,554	-158,748
რეკლასიფიკაცია		0	0	0	0	0
2024 წლის 31 დეკემბერი	1,087,755	610,528	61,487	218,716	84,135	2,062,620
დაგროვილი ცვეთა						
2023 წლის 1 იანვარი		88,238	201,023	190,303	30,118	509,682
ცვეთის ხარჯი		19,871	1,412	3,337	3,653	28,275
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა		0	-80,373	-6,141	0	-86,515
2023 წლის 31 დეკემბერი		108,110	122,062	187,499	33,772	451,442
ცვეთის ხარჯი		18,316	8,714	12,461	19,110	58,601
გაყიდული ძირითადი საშუალებების ცვეთა		0	-103,871	-2,296	-34,442	-140,610
2024 წლის 31 დეკემბერი		126,426	26,904	197,664	18,439	369,433
წმინდა საბალანსო ღირებულება						
2023 წლის 1 იანვარი	1,087,755	522,289	0	0	0	1,610,044
2023 წლის 31 დეკემბერი	1,087,755	502,418	25,850	34,973	74,572	1,725,567
2024 წლის 31 დეკემბერი	1,087,755	484,102	34,582	21,052	65,696	1,693,187

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ ფლობს სრულად ამორტიზირებულ ძირითად საშუალებებს.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ზანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

შპს “სინერჯი ქონსტრაქშინ”
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული საბანკო ანგარიშებზე	388,311	5,976,694
ნაღდი ფული სალაროში	0	0
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	388,311	5,976,694

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	28,185	836,217
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	0	0
მარაგები	0	0
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	321,945
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	28,185	1,158,162

6 საგადასახადო აქტივები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს 41,225 ლარის ოდენობის ზედმეტობა საგადასახადო ბარათზე.

7 გადახდილი დივიდენდი

2024 წელს გაიცა 2023-2024 საანგარიშგებო პერიოდებში გამოცხადებული დივიდენდი 4,213,347 (ოთხი მილიონ ორას ცამეტი ათას სამას ორმოცდაშვიდი) ლარის ოდენობით.

8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

შპს "სინერჯი ქონსტრაქშინ"
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	273,415	368,846
მიღებული ავანსები	19,357	2,128,472
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2,198	2,231
საგადასახადო ვალდებულებები	0	226,792
გადავადებული შემოსავალი	0	3,711,548
მოკლევადიანი სესხები	0	0
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	294,970	6,437,889

9 სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება

	2024	2023
ნედლეულის დანახარჯები	10,464,047	2,205,371
ქვეკონტრაქტორები	5,066,381	1,591,542
სახელფასო ხარჯი	2,058,249	660,476
საწვავისა და ტრანსპორტირების ხარჯი	32,602	3,154
ცვეთა	58,601	28,275
კომუნალური და ოფისის ხარჯი	167,003	173,879
მიღებული ჯარიმები ქვეკონტრაქტორებისგან	-	-
ფინანსური ხარჯი	123,332	40,278
სხვა ხარჯები	60,354	37,335
სულ სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება	18,030,568	4,740,310

10 სხვა შემოსავალი

2024 წელს კომპანიას სხვა შემოსავალი არმიჯდა

შპს "სინერჯი ქონსტრაქშინ"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	40,978	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	40,978	-

12 არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
საპროცენტო შემოსავალი	8,633	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული შემოსავალი/ზარალი	5,100	53,791
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	30,068	(30,137)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	43,801	23,654

13 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 743,531.89 (შვიდას ორმოცდასამი ათას ხუთას ოცდათერთმეტი ლარი და 89 თეთრი) ლარი.

14 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებულმა ბრუნვამ შეადგინა 34203.06 ლარი დღგ-ს გარეშე. (მომსახურება, საიჯარო ქირა, ძირითადი საშუალების შეძენა)

15 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

არ მომხდარა მნიშვნელოვანი არაფერი რაც ასახვას საჭიროებს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური დირექტორი

მანანა საღარაძე

დირექტორი

ბურაქ გურბუზ

შპს "სინერჯი ქონსორაქშინ"
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2024

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	1,693,187	1,725,567
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,693,187	1,725,567
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	4	388,311	5,976,694
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	5	28,185	1,158,162
მარაგები			0
საგადასახადო აქტივები	6	41,225	0
სულ მოკლევადიანი აქტივები		457,721	7,134,856
მთლიანი აქტივები		2,150,908	8,860,423
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		55,237	55,237
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		1,800,700	2,367,296
მთლიანი კაპიტალი		1,855,938	2,422,533
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
გადასახდელი დივიდენდი	7		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	294,970	6,437,889
მთლიანი ვალდებულებები		294,970	6,437,889
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2,150,908	8,860,423

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს
 ფინანსური დირექტორი მანანა საღარაძე



დირექტორი

ბურაქ გურბუზ



შპს "სინერჯი ქონსტრაქშინ"
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება/(ზარალის) და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
შემოსავალი სამშენებლო კონტრაქტებიდან		22,654,455	5,400,288
სამშენებლო კონტრაქტების ღირებულება	9	(18,030,568)	(4,740,310)
საერთო მოგება / (ზარალი)		4,623,887	659,979
სხვა შემოსავალი	10	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(40,978)	-
არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	12	43,801	23,654
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი / (ზარალი)		(236,427)	99,547
მოგება დაბეგვრამდე		4,390,283	783,179
მოგების გადასახადის ხარჯი	13	(743,532)	-
წმინდა მოგება		3,646,751	783,179
სხვა სრული შემოსავალი / (ხარჯი)		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		3,646,751	783,179

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური დირექტორი
 მანანა სალარაძე



დირექტორი

ბურაქ გურბუზ



შპს "სინერჯი ქონსტრაქშინ"
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	55,237	1,668,617	1,723,855
წლის მოგება / (ზარალი)		(84,500)	(84,500)
გამოცხადებული დივიდენდი			
სხვა სრული შემოსავალი			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	55,237	1,584,117	1,639,354
წლის მოგება / (ზარალი)		783,179	783,179
გამოცხადებული დივიდენდი			
სხვა სრული შემოსავალი			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	55,237	2,367,296	2,422,533
წლის მოგება / (ზარალი)		3,646,751	3,646,751
გამოცხადებული დივიდენდი		(4,213,347)	
სხვა სრული შემოსავალი			-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი			-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	55,237	1,800,700	6,069,285

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური დირექტორი
 მანანა სადარაძე

დირექტორი

ბურაქ გურბუზ



შპს "სინერჯი ქონსტრაქშინ"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

13 მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯმა შეადგინა 743,531.89 (შვიდას ორმოცდასამი ათას ხუთას ოცდათერთმეტი ლარი და 89 თეთრი) ლარი.

14 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის განმავლობაში დაკავშირებულ მხარესთან განხორციელებულმა ბრუნვამ შეადგინა 34203.06 ლარი დღგ-ს გარეშე. (მომსახურება, საიჯარო ქირა, ძირითადი საშუალების შეძენა)

15 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

არ მომხდარა მნიშვნელოვანი არაფერი რაც ასახვას საჭიროებს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 30 სექტემბერს

ფინანსური დირექტორი



მანანა საღარაძე

დირექტორი

ბურაქ გურბუზ

✓

